საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. ბათუმი

№ 091 19. 12 2013 წ.

მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის N1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის შემდეგი მინიმალური ოდენობა:

ა) A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი - 500 (ხუთასი) ფურცლამდე;

ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი ასლი - 500 (ხუთასი) ფურცლამდე;

გ) კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერა - 50 (ორმოცდაათი) დისკი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელი პირი საკუთარი ინიციატივით

ან ფიზიკური პირის შუამდგომლობის საფუძველზე, პირის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე ერთჯერადად გასაცემი საჯარო ინფორმაციის ოდენობის შესახებ.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორის პირველი მოადგილე/
დირექტორის მ/შ

ზაზა მახარაძე